MES 2 21 0001437441

30/12/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2020 წლის 20 დეკემბერს.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89371896543?pwd=QTY3d2ZpNHJIckNXcmpMZnR5NEx0dz09

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/ საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი / საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს „ბარაკონი“:
ფოფხაძე გიორგი - დირექტორი;
ხაჩიძე ნინო - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“:
ფრიდონი ბუაძე - კოლეჯის დირექტორი;
ილია ოშხერელი - დირექტორის მოადგილე;
დარეჯან ჭელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

სსიპ კოლეჯი “ბლექსი“:
გიორგი გოგიტიძე - კოლეჯის დირექტორი;
ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;
მირანდა გორგილაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს “ორიენტირი”:
რამაზ მაჭარაშვილი - კოლეჯის დირექტორი;
ივანე ბალახაშვილი - იურისტი.

შპს არსი:
ნათია ნოზაძე - კოლეჯის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:
თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ნაია ჩელებაძე - პრორექტორი;
ელზა ფუტკარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
სამონაზვნე ბარბარე (ციალა მეგრელაძე) - სკოლამდელი საგანმანათლებლო ამღზრდელის პროგამის ხელმძღვანელი
სონია ჩეჩელაშვილი - ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელი
ია შალამბერიძე - იურისტი
მზია შავაძე - იურისტი
გოგიტა მშვენიერაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:
ვახტანგ ბოგველიშვილი;
გივი დოლიძე;
ქეთევან ანთაძე;

გივი დოლიძე;
ლევან მადათოვი;
დავით კუპატაძე;
მანანა მახარაშვილი;
ელენე კაკაბაძე;
ირმა ქორთუა;
მზია ბაკურიძე;
ქეთევან ჯანელიძე;
ვერიკო ჭიღლაძე;
ქეთევან ღვანიძე;
მაია ხურცილავა.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:03 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:
1. შპს ბარაკონისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.
2. სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციის მონტაჟის“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
3. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
4. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
5. შპს ორიენტირის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
6. შპს არსის „ფარმაციის (საფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. შპს ბარაკონისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მან საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ შპს ბარაკონის დირექტორმა, ბატონმა გიორგი ფოფხაძემ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს 2021 წლის 2 დეკემბერს მიმართა წერილით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთან შუამდგომლობისათვის. წერილში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას სურს საოფისე საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგამაზე (0415) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შემცირება და შესაბამისი ცვლილების ასახვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში. კერძოდ, საოფისე საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებით განსაზღვრული 70 პროფესიული სტუდენტის ნაცვლად, ზღვრულ რაოდენობად განისაზღვროს 20 პროფესიული სტუდენტი.

შუამდგომლობის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა კოლეჯის წარმომადგენლებს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ ცვლილების შეტანის შესახებ მოთხოვნის მიზეზად დასახელდა აღნიშნულ პროგრამაზე მომართვიანობის შემცირება. მიმდინარე წელს რეგისტრირებული იყო 40, თუმცა არცერთი მათგანი სტუდენტი არ გამხდარა. ასევე, საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგამა არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თვითდაფინანსების საჭიროების მქონე პროგრამებზე სწავლების მსურველ სტუდენტთა რაოდენობა კი არის მცირე. დამატებით მიზეზს წარმოადგენს ისიც, რომ დაწესებულება გეგმავს საექთნო საქმის პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაზრდას, რისთვისაც სჭირდება სხვა გარემოები (A გარემო), რომლებიც საოფისე საქმის სწავლებისთვის გამოიყენებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ რატომ არ მოხდა პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით განაცხადის შეტანა იმის გათვალისწინებით, რომ არცერთი სტუდენტი არ დაფიქსირებულა. კოლეჯის მხრიდან აღინიშნა, რომ შიდა მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი დაელოდება მომავალი წლის გარემოებებს. შესაბამისად, პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება იმ შემთხვევაში, თუკი მომართვიანობა განმეორებით არ დაფიქსირდება.

ასევე კითხვა დაისვა პროგრამების საჭიროების შესახებ კვლევების გადახედვის შესახებაც, რის საპასუხოდ კომენტარი გააკეთა ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საოფისე საქმის პროგრამა ზოგადად აქტუალურია და ბევრი კოლეჯის მიერ იყო დამატებული, ამ უნარების საჭიროებებზე დამსაქმებლების მოთხოვნის არსებობა დასტურდება კვლევებით. სურათი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეს პროგრამა პრიორიტეტებიდან იქნა ამოღებული. კერძო კოლეჯებში კი სახელმწიფოს მიერ დაფინანსება პრიორიტეტების მიხედვით გაიცემა. არადაფინანსებად პროგრამებს შეექმნა პრობლემები მაშინ, როცა სახელმწიფო კოლეჯებში ეს პროგრამები ფინანსდება. ასევე, გამოითქვა თანხმობა კოლეჯის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პროგრამის გაუქმებისაგან თავის შეკავების შესახებ. შესაძლებელია კარგმა პიარმა და ხარისხზე ორიენტირებულობამ მიიზიდოს კონტიგენტი. კოლეჯის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა ისიც, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იგეგმებოდა ინტეგრირებული პროგრამის განხორციელება. თუმცა ამ განზრახვაზე საბოლოოდ ითქვა უარი, გამომდინარე იქიდან, რომ საოფისე საქმის პროგრამა არ არის პრიორიტეტული და პროფესიულ სტუდენტს მის ფარგლებშიც მოუწევდა საფასურის გადახდა.

საბჭო წევრმა ნინო ველთაურმა ისაუბრა კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო აფინანსებს მოკლევადიან კურსებს საოფისე საქმეში. სააგენტოს მიერ შემოწმდა აღნიშნული პროფილით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც ძალიან დაბალია. კითხვა დაისვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია დასაქმება გრძელვადიანი კურსების შემთხვევაში. შპს ბარაკონის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სიტუაცია ანალოგიურია გრძელვადიან პროგრამებთან მიმართებაშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონისთვის საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს შპს ბარაკონისთვის (ს/კ: 20877231) საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 9 სექტემბრის N169 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, საოფისე საქმის მეოთხე დონის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამაში (0415) ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 20 -ით**(დანართი).**

2. **სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციის მონტაჟის“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა.
ექსპერტთა მიერ დასკვნის პრეზენტაციის წარდგენამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო სტეფანიშვილმა, დამსწრე საზოგადოებას გააცნო მონიტორინგთან დაკავშირებული დამატებითი გარემოებები. მან აღნიშნა, რომ 10 ივნისის ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე აღნიშნული პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვის შემდგომ საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით 2.2. და 2.4. კომპონენტებზე, რომელთან მიმართაც დადგინდა მეტწილი შესაბამისობა. იმ დროისათვის განხილვის ძირითად თემას წარმოადგენდა მატერიალური რესურსების ნაკლებობა, C გარემოს მშენებლობა იყო დაწყების ეტაპზე. მონიტორინგის ფარგლებში, იმის გარდა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ამ კონკრეტული პროგრამების 2.2. და 2.4. კომპონენტების შესწავლა, ცენტრი დირექტორის გადაწყვეტილებით განისაზღვრა სახელოსნოს შესწავლაც, მატერიალური რესურსთან ერთად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებით. ექსპერტებს დამატებით დაევალათ ამ საკითხის შესწავლა და დასკვნაში ასახვა. შედეგად, გამოვლინდა რაღაც, საკითხები, რომლებიც

გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით უფრო ვრცლად განსახილველად სირტყვა გადაეცა ექსპერტებს, ვახტანგ ბოგველიშვილსა და გივი დოლიძეს.
ექსპერტი ჯგუფის თავმჯდომარე ვახტანგ ბოგველიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 ოქტომბრის #1118462 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ვახტანგ ბოგველიშვილი, წევრი - გივი დოლიძე, დაევალა სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმება (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). ექსპერტთა ჯგუფს აგრეთვე დაევალა სსიპ-კოლეჯ "ერქვანის" ქ. ამბროლაურში, გურგენიძის ქ. #10-ში მდებარე სახელოსნოს მატერიალურ-ტექნიკურ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების დასკვნის პროექტში/დასკვნაში ასახვა. ამ მიზნით, 2021 წლის 5 ნოემბერს შედგა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ-კოლეჯ "ერქვანში" (მის: ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. #10 და ქ. ამბროლაური, გურგენიძის ქ. #10). ვიზიტამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, არსებული გარემოებების გათვალისწინებით შეადგინა მონიტორინგის განრიგი და გასაცნობად გაუგზავნა დაწესებულებას. ვიზიტისას, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და განიხილეს მათ მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია; გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ხელმძღვანელს და მოდულების განმახორციელებელ პირებს; გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს; შეამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი; დაათვალიერეს ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამებით გათვალისწინებული ფონდი და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საკუთრებაშია ახალაშენებული სახელოსნო, რომელიც მდებარეობს ქ. ამბროლაურში, მისამართზე გურგენიძის ქ. #10. იგი განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად. ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერა ზემოთხსენებული ობიექტი და დააფიქსირა შემდეგი გარემოებები: მშენებლობის პროცესი სრულად დამთავრებულია. შენობაში დაყენებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სახელოსნო, სანიტარული კვანძების ჩათვლით, ადაპტირებულია შშმ პირთათვის. შენობის ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს მოუწევთ მუშაობა, უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დაწესებულებაში არსებული სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. ამჟამად მიმდინარეობს შენობის აღჭურვა შიდა კომუნიკაციებით (გაზი, წყალი, ელექტროენერგია). ამის დასტურად დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, დოკუმენტაციის სახით. სახით. კერძოდ:
1. „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ერთი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადი, გადასახადის გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად;
2. წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
3. ელექტროგამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების შესახებ (რეგულირებული ახალი მიერთება) განაცხადი, გადასახადის გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად.
უსაფრთხოების კუთხით, კოლეჯმა მიმართა შპს „უსაფრთხოების ნიშნებს“ საევაკუაციო გეგმის მოსამზადებლად, ცეცხლმაქრების შესაძენად კი _ შპს „გეფფა ჯგუფს“. აღნიშნული ინვოისები

გადაგზავნილია ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ კოლეჯისთვის სხვადასხვა დროს გადაცემული თანხებიდან წარმოქმნილი ნაშთის შესყიდვებისთვის გამოყენების მიზნით. ამასთან ერთად, კოლეჯმა დაარეგისტრირა განცხადება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სასწავლო სახელოსნოს ტექნიკური მდგომარეობის (შენობის მდგრადობის) დასკვნასთან დაკავშირებით. ზემოაღწერილი სამუშაოების დასრულების შემდგომ, შენობაში განთავსდება საევაკუაციო გეგმები, ცეცხლმაქრები, საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული ინვენტარი. წარმოდგენილი იქნება მაფრთხილებელი/მიმთითებელი/ამკრძალავი ნიშნები.

შემდგომ ექსპერტმა საბჭოზე წარადგინა კოლეჯის სახელოსნოს, ადგილზე განთავსებული მატერიალური რესურსებისა და ბიბლიოთეკის ამსახველი ფოტომასალა.

ვიზუალური მასალის დათვალიერების შემდეგ ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სახელოსნოს აღჭურვის დასრულებისთანავე, კოლეჯის მიერ დაქირავებული უსაფრთხოების ექსპერტი ჩაატარებს ტრენინგს უსაფრთხოების საკითხებში, პრაქტიკის მასწავლებლებისთვის. ასევე, წითელი ჯვრის ამბროლაურის ფილიალის მიერ განხორციელდება პრაქტიკის მასწავლებლების მომზადება პირველი სამედიცინო დახმარების საკითხებში. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება #11 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (ხელშეკრულების საგანია მომსახურეობა შრომის უსაფრთხოების სფეროში CPV 79417000). დირექტორის 2020 წლის 9 იანვრის N1 „ო“ ბრძანებით, კოლეჯში დანიშნულია შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო C გარემოს აღჭურვის, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის აქტივობები დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში: დაწყებისა და დასრულების თარიღების, პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ინდიკატორების მითითებით. სასწავლო მოდულების განხორციელება იმგვარადაა დაგეგმილი, რომ სწავლების მე-9 კვირამდე, 2022 წლის 17 იანვრამდე, C სასწავლო გარემოს გამოყენების საჭიროება არ დგას. ამ დრომდე კი ყველა ღონისძიება, გარდა სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის (27.10.2021 – 30.01.2022) და შენობის ვიდეო-სათვალთვალო სისტემით აღჭურვის (01.12.2021 – 28.02.2022) ღონისძიებებისა, შესაბამისობის გეგმის თანახმად შესრულებული უნდა იყოს.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამაში დაფიქსირებულ ხარვეზებსა და რეკომენდაციებზე. კერძოდ, დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი:

დასკვნის პროექტში სახელოსნოსთან დაკავშირებული რიგი საკითხები შეფასდა ხარვეზად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ასახული შესაბამისობის გეგმაში. სსიპ-კოლეჯმა ერქვანმა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ახალი შესაბამისობი გეგმა, სადაც ასახულია აღნიშნული ხარვეზები, მათი შესაბამისობაში მოყვანის პერიოდი და სხვა.

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით 2.2. კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“, ხოლო 2.4. „მეტწილად შესაბამისი“. აღნიშნულთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნანი დალაქიშვილის, მიერ განიმარტა, რომ 2.4. კომპონენტის მეტწილი შესაბამისობა დაშვებულია მთლიანად სტანდარტის სრული შესაბამისობის მიზნებისთვის. ასევე, მეტწილი შესაბამისობა 2.4. ქვესტანდართან დაკავშირებით განპირობებულია იმით, რომ მატერიალური რესურსების ნაწილი ჯერ არაა სახელოსნოში განლაგებული, თუმცა დაწესებულებას შესყიდული აქვს ისინი და ფიზიკურად მათ მფლობელობაშია. აღნიშნული რესურსი სხვადასხვა მისამართზეა და მათი სახელოსნოში განთავსება მოხდება კომუნიკაციების შეყვანის დასრულების შემდგომ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაეფიქსირებინა პოზიცია.

სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ დირექტორის მოადგილემ აღნიშნა, რომ კომუნალური სისტემები (გაზი, დენი, წყალი) ამ ეტაპზე დაყენებულია და გაშვებულია სისტემაში. დამზადებულია ასევე დაყენებისა და მიღება-ჩაბარების აქტებიც, რომელთა წარმოდგენაც უკვე შეუძლია კოლეჯს საბჭოს წევრების მხრიდან სურვილის არსებობის შემთხვევაში. აღჭურვილობისა და ინვენტარის შესახებ ითქვა, რომ მატერიალური რესურსი უკვე გადატანილია სახელოსნოში, სადაც ისინი დასაწყობებულია ერთ ადგილას. ფოტო-მასალაზე ასახული ასაწყობი და ერთ ადგილას თავმოყრილი კარადები აწყობილი და განლაგებულია ოთახებში სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, სასწავლო წლის დაწყებას ხელი არ შეეშლება. მან ასევე ისაუბრა სახანძრო უსაფრთხოების საკითხზე და დასძინა, რომ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი იყო, რომ დაწესებულებამ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიმართა წერილით, რომლითაც მოითხოვა უფლების მიღება კოლეჯის ბალანსზე არსებული ნაშთიდან თანხის გამოსაყენებლად ცეცხლმაქრების შესაძენად და საევაკუაციო გეგმის დასამზადებლად. ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან გაფორმებული ახალი ხელშეკრულებით კოლეჯმა მიიღო თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც გაფორმდება ხელშეკრულებები ინვოისებით წარმოდგენილ კომპანიებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის განხორციელების პროცესი დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე. ასევე ითქვა, რომ 26 ნოემბერს კოლეჯმა მიიღო სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (112) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა კი დაიდება, როდესაც ცეცხლმაქრების დაყენებისა და საევაკუაციო გეგმის მომზადება დასრულდება, ვინაიდან საევაკუაციო გეგმაშივეა გაწერილი, რა რაოდენობის ცეცხლმაქრების შეძენა უნდა მოხდეს და სად უნდა განთავსდეს ისინი.

კომენტარი გააკეთა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა, ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ კოლეჯ „ერქვანის“ სახელოსნოს მშენებლობა ძალიან დიდი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა როგორც თავად დაწესებულებისთვის, ისე განათლების სამინისტროსთვის. მშენებლობა განხორციელდა ოპერატიულად და კოლეჯისთვის განსაზღვრული ვადები დაცულია მაქსიმალურად. შესაძლებელია, რომ დაწესებულებას მოეთხოვოს ანგარიშის წარმოდგენა პროცესების დასრულების შემდგომ. კოლეჯმა ითანამშრომლა ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან, ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვები გარკვეულწილად შეფერხებებთანაა დაკავშირებული. ვიზიტი ადგილზე შედგა და განმეორებით მონიტორინგებზეც მომავალში ანალოგიურად იგეგმება.

საბჭოს წევრის მიერ ასევე დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, შეუშლიდა თუ არა ხელს სასწავლო პროცესის მსვლელობას რიგი მატერიალური რესურსების ადგილზე განუთავსებლობა და როდისთვის არის გაწერილი იმ მოდულების განხორციელება, რომელთათვისაც საჭიროა ამ რესურსების გამოყენება. აღნიშნულის საპასუხოდ ექსპერტმა დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა შესაბამისი სასწავლო გეგმები, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ მოდულები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ 2022 წლის 17 იანვრამდე კოლეჯს არ აქვს საჭიროება C გარემოს გამოყენებისა. კომენტარი გააკეთა დაწესებულების დირექტორის მოადგილემაც და თქვა, რომ ხელსაწყო-იარაღები დამონტაჟებას არ მოითხოვს, მხოლოდ მათი განთავსებაა საჭირო. შესაბამისად, განთავსების პროცესი რაიმე დამატებით დროს არ მოითხოვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეებს და თქვა, რომ მართებული იქნება, თუკი კოლეჯი წარმოადგენს ანგარიშს განხორციელებული სამუშაოების შესახებ. საბჭოს წევრების თანხმობით სათათბირო დრო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოყენებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციის მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ერქვანში“ (ს/კ: 222934671) „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციის მონტაჟის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ერქვანის“ „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ერქვანში“ (ს/კ: 222934671) „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭომ შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წინაშე, რომ მოეთხოვოს კოლეჯ ერქვანის ადმინისტრაციას, სახელოსნოებში პროცესების დასრულების შემდეგ წარმოადგინოს ცენტრში ანგარიში.

3. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ქეთევან ანთაძეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 ოქტომბრის №1118461

ბრძანების საფუძველზე (ცვლილება - 2021 წლის 25 ოქტომბრის № 1137737 ბრძანება), სსიპ კოლეჯ „ბლექსი“-ში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, 2021 წლის 27 ოქტომბერს განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული პროგრამა შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, გამომდინარე იქედან, რომ კომპონენტი 2.2 შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ამ მონიტორინგის ფარგლებში 2.2. კომპონენტი შეფასდა „სრულ შესაბამისად“ და შესაბამისად, პროგრამა არის „სრულად შესაბამისი“.

წინა ვიზიტის ფარგლებში, მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის, მე-5 ინდიკატორთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დადგენილ ვადებში განეხორციელებინა საგანმანათლებლო რესურსის - საერთაშორისო სტანდარტების შესყიდვა და ყველა მათგანის თარგმნა. აღნიშნული კომპონენტის მე-5 ინდიკატორთან უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის მიერ დამტკიცდა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა (შესაბამისობის გეგმის ვადები _ 02/06/2021-30/08/2021). ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები, შეიმუშავა დღის წესრიგი, რის მიხედვითაც მოხდა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების განხილვა, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება და საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის დათვალიერება. შედეგად დადგინდა:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

დაწესებულებამ კონტიგენტის განსაზღვრისას გაითვალისწინა: A, B და C სასწავლო გარემოებში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 12. დაწესებულებას პროგრამის C გარემოსთვის გამოყოფილი აქვს 48 კვ.მ. ფართობი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. სრულყოფილად შესყიდულია სასწავლო აუდიტორიების და ლაბორატორიის აღჭურვილობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დათვალიერების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობაა სულ - 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. შუახევის მისამართზე სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას მოდულების შესაბამისად. მასწავლებელთა დატვირთვის შედგენისას გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), რომლითაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კოლეჯს შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება“, რის მიხედვითაც პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ თითოეული თანამდებობისთვის, შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის გათვალისწინებით. წინა მონიტორინგის

შემდგომ, კოლეჯმა დაიმატა ერთი ახალი პროფესიული მასწავლებელი. ექსპერტთა მიერ მოხდა, როგორც მასთან გასაუბრება, ასევე მისი დოკუმენტების შესწავლა, რითიც დადასტურდა მისი კომპეტენცია. დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ,,შედუღება" საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება დარგის შესაბამისი განათლებით (პროფესიით შემდუღებელი) და მუშაობის გამოცდილებით, არის მოქმედი დარგის სპეციალისტი. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციით, მისი პირადი საქმის მასალებითა და ექსპერტების მიერ წარმოებული გასაუბრებით.
საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას დათვალიერებულ იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტკავშირით. მონიტორინგის ფარგლებში, რომლებიც განხორციელდა 2.2 კომპონენტის მე-5 ინდიკატორის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა მიერ შეფასდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა, რის შედეგადაც დადგინდა რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია, საგანმანათლებლო რესურსის შესყიდვასთან და თარგმნასთან დაკავშირებით. შესაბამისად პროგრამაში ''შედუღება'' მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომი იქნება კოლეჯის შუახევის მისამართზე არსებულ სამკითხველო ოთახში და ასევე ელექტრონულად, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ამ ეტაპზე, შედუღების პროგრამაზე ჩარიცხული არ არის სსსმ საჭიროების მქონე სტუდენტი. შესაბამისად, დაწესებულებას შუახევის მისამართზე არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. თუმცა, შესაბამისი სპეციალისტი ჰყავს ბათუმის მისამართზე და ამ კუთხით აქვს მუშაობის გამოცდილება. საჭიროების შემთხვევაში მას ასევე დანიშნავს შუახევის მისამართზეც, რათა უზრუნველყოს სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის, სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგება ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ექპერტთა მოსაზრებით, სსსმ პირებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები ადაპტირებული იქნება მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ექსპერტმა წარმოადგინა ფოტომასალა, რომელზეც ასახული იყო ადაპტირებული ლიფტი.
პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა შესაძლო ხარჯებს, ასევე პროგრამულ და ინსტიტუციურ დანახარჯებს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურებას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადებისთვის საჭირო ხარჯებს, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულებას, პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე ადმინისტრირების (ხელფასებს, კომუნალურ, საკომუნიკაციო) და სხვა საოპერაციო ხარჯებს. პროგრამის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს, რომელიც შეადგენს 10 პროფესიულ სტუდენტს.
მონიტორინგის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, 2.2. კომპონენტი შეფასდა „სრულ შესაბამისად" და შესაბამისად, პროგრამა არის „სრულად შესაბამისი".
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც წარმატებები უსურვა კოლეჯს და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მეორე სტანდარტის ფარგლებში ყველა რესურსი შემოწმდა, ძირითადი აქცენტი გაკეთდა სასწავლო რესურსებზე წინა წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე. მისი შეფასებით, რეკომენდაცია სრულად არის გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარემ პოზიციის დასაფიქსირებლად მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს. კოლეჯის დირექტორმა გიორგი გოგიტიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დადებით შეფასებებისთვის და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა ხორციელდება

შუახევის მისამართზე, სადაც მიმდინარე წელს პირველად დაიწყო პროგრამის განხორციელება. შესაბამისად, კოლეჯი დასჭირდა, რომ სწრაფი ტემპებით მომხდარიყო აღჭურვა და შენობის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯს გააზრებული ჰქონდა, რომ პროგრამის წარდგენისას „მეტწილი შესაბამისობა“ იქნებოდა დადგენილი. დაწესებულებამ აირჩია ISO-ს სტანდარტები ამ მიმართულებით, რომლებიც ქართულად არ იყო ხელმისაწვდომი. მოხდა ამ რესურსის თარგმნა, რაც დროის მოითხოვდა, შედეგად, კოლეჯი აცნობიერებდა, რომ ვადებში ვერ ჩაეტეოდა. ამ ეტაპზე უკვე ნათარგმნი მასალა სხვა კოლეჯებსაც გაუზიარა დაწესებულებამ.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა, სხვა დაინტერესებულ პირებს თუ შეეძლებათ ISO-ს სტანდარტების ნათარგმნი მასალებით სარგებლობა. ქალბატონმა ნინო სტეფანიშვილმა სხვა წარმოების ფარგლებში მიღებული გამოცდილების საფუძველზე აღნიშნა, რომ სხვა კოლეჯები შედუღების პროგრამის დამატებისას აქტიურად იყენებენ სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ მიერ ნათარგმნ მასალას. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ მასალა გადაეგზავნა იმ პირებს, რომლებმაც მისი მიღების სურვილი გამოთქვეს კერძო და სახელმწიფო კოლეჯების შეხვედრაზე. კოლეჯი მზადაა დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს იგი და განათავსოს ვებგვერდზე. საბჭოს თავმჯდომარის მიერ აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია კომპანიების იმფორმირება იმის შესახებ, რომ ეს რესურსი არსებობს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.
საბჭოს წევრმა ქრისტინა რზგოევამ დატოვა საბჭო 14:54 საათზე, შესაბამისად, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საბჭოს 10 წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (ს/კ: 245610398) „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ლევან მადათოვს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 8 ნოემბრის №1199383 ბრძანებით (ცვლილება №1233560 ბრძანება 16.11.2021 საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - კოლეჯ ,,ბლექსიში" (შემდგომში - კოლეჯი) 2021 წლის 29 დეკემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა ,,შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯს მიენიჭა საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის №589557 გადაწყვეტილებით. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი 2.2 კომპონენტიდან გამომდინარე შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". კერძოდ, კოლეჯს სრულად არ ჰქონდა შესყიდული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური აღჭურვილობა. ასევე სათარგმნი იყო საგანმანათლებლო რესურსები. შესაბამისად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით დაინიშნა მონიტორინგი. კოლეჯის მიერ 2021 წლის 2 ნოემბრის №1175989 წერილით ცენტრში წარმოდგენილ იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტთა ჯფუფის მიერ შემოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დათვალიერდა პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე საგანმანათლებლო რესურსები და 2.2 კომპონენტის 2.2.1 ქვეკომპონენტის ინდიკატორების მტკიცებულებების ადგილზე შემოწმებით დადასტურდა რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი 2.2 კომპონენტთან, შეფასდა როგორც ,,შეესაბამება". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში. ხარვეზები არ დაფიქსირებულა.
ექსპერტებმა საბჭოზე წარადგინეს აღჭურვილობისა და რესურსების ამსახველი ვიზუალური მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს. ასევე აღნიშნა, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის მხარდაჭერით მოხდა ლაბორატორიის დიდი ნაწილის შეძენა, დანარჩენი ნაწილზე კი შესყიდვები თავად კოლეჯმა გამოეცხადა, რაც ვადებთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული გახდა „მეტწილი შესაბამისობის" მიზეზი. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა და უკვე წარმატებით ხორციელდება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ბლექსის" „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ბლექსის“ (ს/კ: 245610398) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. შპს ორიენტირის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მანანა მახარაშვილს. ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის ცნობილი გახდა შპს „ორიენტირის“ (შემდეგში „პსდ“) მიერ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები“- დარღვევის ფაქტი, რამაც განაპირობა მონიტორინგი. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 სექტემბრის N984978 ბრძანებით პირველ ოქტომბერს ჩაინიშნა პსდ-ს არაგეგმიური მონიტორინგი. დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად, პსდ-ს ეცნობა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაგეგმილი ვიზიტის შესახებ. თუმცა, ბრძანებით განსაზღვრული თარიღი შეიცვალა პსდ-ს კორესპონდენციის საფუძველზე (N04/100, 29.09.2021; N04/101 30.09.2021), რომლითაც იტყობინებოდა, თანამშრომელთა COVID-19-ით ინფიცირებისა და იზოლაციის გამო, ვიზიტის გადავადებას 2 კვირით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება, რის საფუძველზეც ავტორიზაციის 5.2. კომპონენტის პირობების შესრულების მიზნით, ვიზიტი განისაზღვრა 2021 წლის 19 ოქტომბრის თარიღით (ბრძანება N1007856, 01.10.2021 წ.)
მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა საიფორმაციო რესურსები - ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის პროცესები და პროცედურები. შემოწმებისა და გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე, დასკვნის პროექტში კომპონენტი, 5.2.2. კრიტერიუმის მე-2 და მე-4 ინდიკატორებთან შეუსაბამობის გამო, შეფასდა უარყოფითად:
5.2.2. (2) ინდიკატორი პსდ მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. დოკუმენტაციის აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონულად, რომელშიც შეზღუდულია შეტანილი მონაცემების კორექტირების შესაძლებლობა. ელექტრონულ რეესტრში ხდება მატერიალურად შედგენილი დოკუმენტების ატვირთვა, თუმცა პროგრამა ვერ უზრუნველყოფს ავტორიზაციის სტანდარტისა და ელექტრონული საქმისწარმოების საკანონმდებლო მოთხოვნებს. დანერგილი

პროგრამა არ წარმოადგენს ელექტრონული დოკუმენტაციის გაცვლის სისტემას. დაწესებულების პროგრამული უზრუნველყოფით არ არის შესაძლებელი კორესპონდენციის მიღება-გაგზავნა, გამოცემული აქტების შესრულების დროის, დოკუმენტაციის შესრულების კონტროლი და ა.შ.

პირველადი შეფასებით აღნიშნული კრიტერიუმი ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ხარვეზი. თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი იქნა გეგმა („შპს ორიენტირში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოთქმული მიგნებების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა“ 26.10.2021 ბრძანება #01/130), რომლის თანახმად ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა და პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის ვადად განსაზღვრულია 30.11.2021. დაწესებულების მიერ ასევე გადმოგზავნილია საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ელექტრონული საქმის წარმოების სისტემაში (Eflow) ჩართვის შესახებ (ხელშეკრულება # 09/76, 01.11.2021).

5.2.2. (4) ინდიკატორი დაწესებულების მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის დადგენილ ვადებში არ ყოფილა წარდგენილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესთან" პდს-ს შიდა რეგულაციის შესაბამისობის თაობაზე ინფორმაცია. ცვლილებების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ბოლო ვადა, ცენტრის მიერ განისაზღვრა, 19.09.2021, ხოლო ინფორმაცია ცვლილებების წარდგენის შესახებ, დაწესებულებებს ეცნობა 2021 წლის 20 ივლისს. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, აღნიშნული საკითხის გამომწვევ მიზეზად დასახელდა, კოლეჯში დაფიქსირებული COVID-19-ით პერსონალის ინფიცირების ფაქტები და სარემონტო სამუშაოები, რის გამოც პერსონალი ფაქტობრივად გადაყვანილი იყო დისტანციურ რეჟიმსა და იზოლაციაში. პსდ-ს ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული გარემოებების გამო, პერსონალს ტექნიკურად გამორჩა დაკისრებული მოვალეობის შესრულება და განხორციელებული ცვლილების შესახებ არ მოხდა ინფორმირება. თუმცა, მინისტრის აქტთან, დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ, ექსპერტებთან წარმოდგენილი იყო, შპს „ორიენტირი“-ს დირექტორის 2021 წლის 20 აგვისტოს ბრძანებით #01/94 დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“.

პირველადი შეფასებით გამოვლენილი გარემოება, მიუხედავად დაწესებულების მიერ მაკონტროლებელ ორგანოებთან ანგარიშგების კარგი პრაქტიკისა, ექსპერტების მიერ შეფასდა როგორხც ხარვეზი. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული კრიტერიუმის შეუსრულებლობა, ადამიანურ ფაქტორთან ერთად განპირობებული იყო საქმისწარმოების წესების, კერძოდ დოკუმენტების შესრულების კორნტროლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: არაეფექტური მართვით, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებულ პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ექსპერტების მიერ ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილი შესაბამისობა“.

გაიცა სტანდარტებთან **შესაბამისობის რეკომენდაციები**:

დაწესებულებამ უზრუნველყოს სრულყოფილი, ავტორიზაციისა და ელექტრონული საქმისწარმოების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი, ელექტრონული საქმისწარმოების

და დოკუმენტების შესრულების ეფექტური კონტროლის მექანიზმების დანერგვა; დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვა.
მონიტორინგის საფუძველი ასევე გახდა 5.2.3. (3) ინდიკატორი - პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
5.2.3. (3) ინდიკატორი დაწესებულებას საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზნით ოფიციალურად ჰყავს გამოყოფილი პირები: საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი და საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსის მართვის მენეჯერი. აღნიშნული პოზიციებისთვის შემუშავებულია სამუშაო ინსტრუქციები. გაწერილია დაწესებულებიდან ინფორმაციის გაცემის (საქმისწარმოების ერთიანი წესი მუხლები 17-19) და ვებ-გვერდის ადმინისტრირების წესები. პსდ-ს ვებ და სოციალური გვერდები არ მოიცავს არასანდო ინფორმაციას.
დაწესებულების მიერ, დარღვეული იქნა, საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი ვადები, კერძოდ: პსდ-მ აპლიკანტებს საბუთების წარდგენა მოსთხოვა დადგენილ ვადაზე ადრე, რეიტინგული სიების დამტკიცებამდე. პერსონალის განმარტებით, წინმსწრებად დოკუმენტაციის მოთხოვნა განპირობებული იყო საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან არაკორექტული ქმედებებით (აპლიკანტების გადაბირება) და არასამართლიანი კონკურენტული გარემოთი. ამასთან, პერსონალის განმარტებით, აპლიკანტების მიერ, საბუთები არ ყოფილა წარმოდგენილი, რადგან მათ მიერ დაუყოვნებლად მოხდა რეაგირება. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგზავნილი ცირკულარის საფუძველზე, დაწესებულების ადმინისტრაციამ, აპლიკანტებს შეატყობინა დოკუმენტაციის წარდგენის ახალი, მინისტრის ბრძანებით დადგენილი ვადები. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია როგორც დაწესებულების ვებ გვერდზე, ისე სოციალურ ქსელში. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ქმედებას არ მოჰყოლია აპლიკანტთა ინტერესებს დარღვევა, არ შეზღუდულა აპლიკანტთა არჩევანი. მინისტრის ბრძანებით დადგენილი ვადების დარღვევის ფაქტზე, დაწესებულების მენეჯმენტის მხრიდან, ექსპერტთა ვიზიტამდე, შიდა რეგულაციით განსაზღვრული წესების დაცვით, განხორციელებული იქნა დისციპლინური საქმისწარმოება, რის საფუძველზეც, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, საყვედური გამოეცხადა პროცესში ჩართულ უშუალო პირებს, დირექტორის მოადგილესა და საქმისწარმოების, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის და ადამიანური რესურსის მართვის მენეჯერს.
გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაციები**:
5.2.1. (2) და (4) ინდიკატორები პსდ-მ უზრუნველყოს რისკების მართვის პროცესის დოკუმენტირება: განახორციელოს რისკების იდენტიფიცირება, განსაზღვროს მათი მართვის გეგმა (აღმოფხვრის/მინიმიზაციის ღონისძიებები), პერიოდული განახლება;
უზრუნველყოს IT ინფრასტრუქტურის მონიტორინგის/შესრულებული სამუშაოების დოკუმენტირება.
5.2.1 და 5.2.3 ინდიკატორები პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პსდ-მ მოახდინოს საკანონმდებლო მოთხოვნების სრულად ასახვა ხელშეკრულებაში/შიდა დოკუმენტაციაში;
ვებ-გვერდზე განთავსებულ სარეგისტრაციო ფორმას, რომლითაც ხდება ვებ-გვერდიდან საგანმანათლებლო პროგრამებზე ელექტრონული რეგისტრაცია, დაემატოს შესაბამისი ველ(ებ)ი/ინფორმაცია, პერონალური მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან კორექტირდეს სარეგისტრაციო ფორმაში ტერმინები.
ექსპერტმა ბოლო კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება არ ეთანხმება ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას. პსდ-ს წარმოდგენილი აქვს საკუთარი ინტერპრეტაცია აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სადაც განმარტავს, რომ კანონის თანახმად, პსდ არაა ვალდებული მოახდინოს მონაცემთა სუბიექტის

ინფორმირება პერსონალური მონაცემების დაცვის/დამუშავების შესახებ, მათ შორის არასრულწლოვანი პირებისა. დაწესებულების განმარტებით, პირები (მონაცემის სუბიექტები, მათი კანონიერი წარმოადგენლები) ვალდებულნი არიან თავად გაეცნონ კანონს, რაშიც ცალსახად არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი. პსდ არგუმენტირებულ პოზიციაში, აღნიშნული საკითხის სტანდარტთან შესაბამისობის მტკიცებულებად ასევე ასახელებს, პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ კომპანიებთან გაფორმებულ შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია კომპანიების ხელმძღვანელების მიერ. დოკუმენტში არ ჩანს პერსონალის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული უშუალო პირების, თანხმობა მონაცემების დამუშავების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად, საბოლოოდ დადგინდა „მეტწილი შესაბამისობა“.

ნანი დალაქიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს პრეზენტაციისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებას უკვე შეტანილი აქვს საავტორიზაციო განაცხადი და დაწყებულია წარმოება. ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის შევსების დროს კოლეჯმა რეკომენდაციები გაითვალისწინა, თუმცა ჯერ წარმოება საწყის ეტაპზეა და მიმდინარეობს შესწავლის პროცესი. შესაძლოა გადაწყვეტილების მიღების დროს აღნიშნული ინფორმაცია იყოს საყურადღებო.

შემდეგ ნანა ყუფუნიამ სთხოვა კოლეჯის წარმომადგენლებს, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება.

კოლეჯის იურისტმა, ივანე ბალახაშვილმა, კომენტარი გააკეთა მინისტრის ბრძანების ვალდებულებების შეუსროლებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ძირითადი ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა ინტეგრირებული შეფასების წესის არსებობას, შესრულებული იყო. ადგილი ჰქონდა ტექნიკურ პრობლემას, ვინაიდან პერსონალს მოცემულ დროს დაუფიქსირდა კოვიდი და დაწესებულება გადავიდა ონლაინ რეჟიმში. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა იმაზეც, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო კოლეჯის პრაქტიკაში და იგი ყოველთვის ოპერატიულად პასუხობს განათლების სამინისტროსა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან გაგზავნილ ნებისმიერ წერილს. ასევე, ელექტრონული საქმის წარმოებისთვის კოლეჯმა დიდი ოდენობით ფინანსური რესურსი გაიღო, თუმცა სისტემა არ მოიცავდა საქმის წარმოებას უშუალოდ შემსრულებლებთან მიმართებაში. სწორედ ეს წარმოადგენდა პრობლემას, რომელიც მყისიერად აღმოიფხვრა. კოლეჯმა დანერგა საქმის წარმოების წესი და სისტემაში ჩართო Eflow. პერსონალურ მონაცემთა მიმართებაში განსხვავებული შეხედულება გამოიხატებოდა არა იმაში, რომ სრულყოფილად არ უნდა ყოფილიყო ასახული პერსონალური ინფორმაცია, არამედ იმაში, რომ როდესაც დაწესებულება აფრთხილებს სტუდენტს პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, გაფრთხილება აღარ უნდა ხდებოდეს კანონის მოთხოვნის თაობაზე, რომ უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარის თქმისა. მიუხედავად განსხვავებული შეხედულებისა, კოლეჯი მაინც ითვალისწინებს ექსპერტის რჩევას და შესაბამისად ასრულებს მას. რაზეც ექსპერტმა დასძინა, რომ აღნიშნული არა მისი პირადი რჩევა, არამედ კანონის მოთხოვნაა. ამასთან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა ფოტოასლები, გაგზავნილი დოკუმენტების სქრინები, რითაც დასტურდება, რომ ყველა უკუკავშირი დადგენილ ვადებშია განხორციელებული.

ვინაიდან საბჭოს სხდომა 15:20 საათზე დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიამ, მისი თხოვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 15:20 საათიდან სხდომას უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, შორენა ჯაფარიძე.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ნანი დალაქიშვილს საკითხის დასაზუსტებლად იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე დაწყებულია წარმოება. საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული წარმოების ვადებით, ვინაიდან ექსპერტების მხრიდან 5.2. კომპონენტში დადგინდა „მეტწილი შესაბამისობა“, რაც გულისხმობს მონიტორინგის ჩანიშვნას მაქსიმალური ვადით _ 6 თვე. შესაბამისად, მონიტორინგის ჩანიშვნა არ იქნება საფუძვლიანი, რადგანაც მას შეიძლება გადაებას ავტორიზაციის ვიზიტი, რომლის

ფარგლებშიც ყველაფერი შემოწმდება. ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ განაცხადი 6 დეკემბერს იქნა შეტანილი, 17 დეკემბერს ასევე ცენტრმა მიიღო ხარვეზის გამოსწორების წერილი. სავარაუდოდ, იანვრის დასაწყისშივე მოხდება მაძიებლად ცნობა, რის შემდეგაც დაინიშნება ვიზიტი არაუგვიანეს 2 თვისა. ნინო სტეფანიშვილმა მონიტორინგთან დაკავშირებით დასძინა ისიც, რომ ძირითად აქცენტს წარმოადგენდა Eflow-ს საკითხი, რომელიც გამოსწორებულია. ამასთან აღნიშნული მოწმდება მხოლოდ მე-5 სტანდარტის შემოწმებისას. ვინაიდან მოცემული ინდიკატორი არ მოწმდება პროგრამის დამატებისას, დაწესებულებებს ხშირად ყურადღების მიღმა რჩებათ აღნიშნული.
საბჭოს მდივანმა კენჭისყრაზე დააყენა შპს ორიენტირის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
აღნიშნული საკითხის კენჭისყრაში დროებითი ტექნიკური პრობლემის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ შპს ორიენტირში (ს/კ: 200011904) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
მონიტორინგის არჩანიშვნის მიზეზად დასახელდა უკვე დაწყებული, კოლეჯ ორიენტირის ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება, იქიდან გამომდინარე, რომ მონიტორინგის ვადა შეზღუდულია 6 თვით, რომლის მინდირეობის ფარგლებშიც განხორციელდება ავტორიზაციის შესაბამისი საქმის წარმოება და მოხდება საკითხის განხილვისას დაფიქსირებული „მეტწილი შესაბამისობის“ ინდიკატორების შეფასებაც.
საბჭოს წევრმა ნინო კაკულიამ დატოვა საბჭოს სხდომა 15:31 საათზე.

6. შპს არსის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო საბჭოსთვის პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით: პროგრამის სახელწოდება _ ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy; პროფესიული

განათლების დონე მეხუთე; მისანიჭებელი კვალიფიკაცია _ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში; სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი _ 0916; პროგრამის განხორციელების ფორმა _ მოდულური. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა _ 32.

ექსპერტმა საკითხის განხილვა განაგრძო ვიზიტის საერთო მიმოხილვით და აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 2 ნოემბრის N0001174761 ბრძანებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.გ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით 2021 წლის 10 ნოემბერს განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი შპს "არსიში" (მის: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4) მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე. ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის შემოწმების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შევისწავლეთ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია რის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა ვიზიტის დღის წესრიგი.

წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს ზემოაღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისად. ამ წარმოების ფარგლებში ფარმააციის (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის 2.2 და 2.3 კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისად. შესაბამისად, მე-2 სტანდარტის არის სრულ შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელს (ფარმაცია (სააფთიაქო)). გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან კოლეჯიდან განხორციელდა დისტანციურად. ექსპერტების მიერ დათვალიერებული და გადამოწმებული იქნა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა.

ექსპერტმა შეაფასა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებადობა:

2.2.1.(3) კომპონენტი პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გათვალისწინებით და მათთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია, რაც შეეხება შეფასების კომპეტენციას, რეკომენდირებულია გაგრძელდეს ტრენინგების კურსი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებლებისათვის - **შესრულებულია**.

განხორციელდა ტრენინგები, შეხვედრები, კონსულტაციები და სიმულაციური გაკვეთილები, რაც დასტურდება სერთიფიკატებით, გადახდის ქვითრით, მემორანდუმითა და ხელშეკრულებებით ტრენინგის განმახორციელებლებთან, ოქმებით, გასაუბრებებითა და ფოტოებით. პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენცია აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

2.2.1.(7) კომპონენტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარია 8 პროფესიული სტუდენტი. საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი შედგება სწავლის გადასახადისაგან; ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს პროფესიული განათლების მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯს, კომუნალურ ხარჯს და სხვა ზოგად ხარჯს. წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი არარელევანტურია, ვინაიდან მასში არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურება, ასევე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იმ ამოცანების ხარჯი, რაც მოითხოვს ფინანსურ უზრუნველყოფას, როგორიცაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის დამატება, პროფესიული სტუდენტების

კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განვითარება. აღნიშულიდან გამომდინარე პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
საჭიროა დაწესებულებამ რეალურად შეაფასოს ხარჯვითი ნაწილი და შესაბამისად განსაზღვროს რენტაბელობის ზღვარი - **შესრულებულია**.
ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეიცავს რეკომენდირებულ ადმინისტრაციის სახელფასო ანაზღაურებას, პროფესიული სტუდენტების კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის განვითარების ხარჯებს.
2.3.1(1) კომპონენტი დაწესებულებას კომპონენტი შეფასებული აქვს „მეტწილი შესაბამისობით“ და წარმოდგენილი აქვს გაუმჯობესების გეგმა; ამოცანის მიხედვით (25.02.21- 25.06.21 პერიოდში) ხდება დაგეგმვა, დაწესებულება პირველ თვეს გაეცნობა პროგრამის სხვა განმახორციელებელი დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილებებს, მეორე თვეს მოხდება მოძიება მეტი დაინტერესებული მხარის და მოხდება უკუკავშირი, მესამე თვეს მოხდება ცვლილება - დაქვემდებარებული კომპონენტების იდენტიფიცირება და გაიწერება ცვლილებებისთვის საჭირო ინდიკატორები, მეოთხე თვეს მიღებული უნდა იქნას პროგრამის გაუმჯობესების ახალი მექანიზმი - **შესრულებულია**.
აქტივობები ჩატარდა გეგმის შესაბამისად და შემუშავდა პროგრამის შეფასება-განვითარების ახალი მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დემინგის ციკლის შესაბამისად: „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე'' დოკუმენტის თანახმად. დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიშები დაწესებულების მიერ სააფთიაქო ქსელების კვლევის შესახებ, კვლევა ჩატარდა პირისპირ გამოკითხვით, გამოიკითხა სააფთიაქო ქსელი „იბერი+“, „ემფარმა“ და „იმპექსი“. დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ადმინისტრაციული წარმოების რეკომენდაცია, გაეცნო პროგრამის სხვა განმახორციელებელი დაწესებულებების საუკეთესო გამოცდილებებს და მათი გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიმუშავა პროგრამაში ცვლილებებისთვის საჭირო ინდიკატორები და პროგრამის გაუმჯობესების ახალი მექანიზმი. ახალი მექანიზმი ეფუძნება 6 ძირითად კომპონენტს, რომლისთვისაც გაწერილია კრიტერიუემები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო მტკიცებულებები. დაწესებულება გეგმავს ყოველი სასწავლო წლის ანალიზის შემდეგ პროგრამის შეფასების დემინგის ციკლის მიხედვით შესაბამისი ცვლილებების ასახვა-გაუმჯობესება- განხორციელებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ მექანიზმს სხვა პროგრამებში უკვე იყენებენ.
კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო. დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 4 ფარმაცევტულ დაწესებულებასთან: 1. შპს „ემ ფარმა" (ხელშეკ. 30.10.2020; 3 ფილიალი); 2. შპს „იბერიფარმა+" (ხელშეკრ, 28.10.2020; 2 ფილიალი); 3. შპს „ფარმაცია" (ხელშეკრ. 22.02.2021), 4. სს „გეფა'' (ხელშეკრ. 28.06.2021 9 ფილიალი). ხელშეკრულებებს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის ჩამონათვალი და ამ მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათები, ობიექტზე უსაფრთხოების წესების დაცვის ვალდებულება. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფილია 16-16 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე შემდეგი მოდულების გავლა. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 32 პროფესიული სტუდენტისთვის, 2 სასწავლო წელზე - 16 პროფესიული სტუდენტი წელიწადში, ორ ცვლაში. ექსპერტმა ფოტომასალის სახით წარმოადგინა შესაბამისი გარემოები და მატერიალური რესურსები.
შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის განხორციელების მდგრადობაზე მასწავლებელთა რაოდენობისა და დატვირთვის მიხედვით და აღნიშნა, რომ პროგრამისთვის განსზღვრული

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 22 პროფესიული პედაგოგი მათ შორის 16 დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვა მოიცავს საკონტქტო საათებს, მომზადებას მეცადინეობისთვის, შეფასების ინსტრუმენტების მომზადებასა და ვალიდაციის პროცესში მონაწილეობას, სტუდენტთა ნაშრომების შემოწმებას, პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობას. კვირაში საათობრივი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია „ფარმაცევტი“ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია და აფთიაქში მუშაობის გამოცდილება. ასევე გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, კარგად აქვს გაცნობიერებული საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და აქვს მზაობა მუდმივად გაეცნოს პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ისე დარგის ექსპერტმა ისაუბრეს მონიტორინგის ფარგლებში საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნეს, რომ კოლეჯი „არსის“ პროფესიული განათლების მასაწვალებლები დისტანციური სწავლების დროს ეფექტურად იყენებენ Google Meet პლატფორმას, რაც მდგომარეობს მისი ყველა ფუნქციის ეფექტურად გამოყენებაში სწავლების ინტერაქტიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად. პროფესიული განათლების მასწავლებელები აქტიურად იყენებენ დისტანციური სწავლების დროს წყვილებში და ჯგუფებში მუშაობას, სიტუაციური ამოცანების განხილვას, ტესტებს. ასევე აღსანიშნავია პროფესიული განათლების მასწავლებლების გუნდური მუშაობა, ტესტების შექმნის გამოცდილებისა და ცოდნის ერთმანეთისათვის გაზიარება.

დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ აღნიშნულ კოლეჯზე მესამე წარმოებას ახორციელებს და ამ პროცესში შეინიშნება კოლეჯის საგრძნობი განვითარება, შეიცვალა ინფრასტრუქტურა, ელექტრონულად ხელმისაწვდომია მოდულების მიხედვით გაწერილი დიდი რაოდენობის ლიტერატურა, დაწესებულებას ასევე საკუთრებაში აქვს მიწის ნაკვეთი, რომლითაც ახალი შენობის მშენებლობას იწყებს. მისი შეფასებით, კოლეჯს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს პროფესიული განათლების განვითარებაში. აქცენტი ასევე გაკეთდა იმაზე, რომ სს „გეფა'' მზადაა დაასაქმოს სტუდენტები ზღვრული რაოდენობით.

სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტსა და საავტორიზაციო საბჭოს კორპუსს და აღნიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს პასუხისმგებლობას და გეგმავს თანამედროვე პროფესიული განათლების სტანდარტების შესაბამისი ახალი კორპუსის აშენებას.

საბჭოს მდივანმა მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს მდივანმა კენჭისყრაზე დააყენა შპს არსის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს არსის (ს/კ: 216427999) „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

7. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 აგვისტოს N 768170 (ცვლილება - MES 4 21 0001144682 ბრძანების(26/10/2021)) საფუძველზე, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ა“,“გ“,“დ“ „ე“ ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ბუღალტრული აღრიცხვისა" და "სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის" ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით (გეგმიური მონიტორინგი).

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 18, 19, 20 აგვისტოს შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტაკიძეები (ხიჭაური). (ქეთევან ჯანელიძემ და ვერიკო ჭიღლაძემ) ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმება განახორციელეს 2021 წლის 18 და 19 აგვისტოს, ხოლო პროგრამული სტანდარტის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და დარგის ექსპერტების (ქეთევან ღვანიძის და მაია ხურცოლავას) მიერ განხორციელდა 2021 წლის 20 აგვისტოს. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა სრული შემადგენლობის მიერ 2021 წლის 20 აგვისტოს. ვიზიტი განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით.

ფოტომასალის საშუალებით ექსპერტმა საბჭოს წევრებს წარუდგინა სასწავლო კომპლექსი, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან საგანმანათლებლო სივრცეებს, საცხოვრებელ კამპუსს, სატრაპეზოს, საკონფერენციო სივრცე, სპორტული მოედანი და ა.შ.

მონიტორინგის ფარგლებში მოხდა მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა, საგანმანათლებლო, მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება, ჩატარდა გასაუბრებები და შემოწმდა შესრულდა თუ არა პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

გაცემული იყო 4 რეკომენდაცია:

1. რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დამატებით გამოყოს მინიმუმ ერთი პირი. (1.6.).

რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტს ხარისხის სამსახური შედგება ხარისხის სამსახურის უფროსისა და ხარისხის სამსახურის სპეციალისტისაგან. ხარისხის სამსახურის სპეციალისტი უშუალოდ ორიენტირებულია პროფესული განათლების მიმართულებით.

2. რეკომენდაცია: სასურველია ვებ-გვერდზე პროფესიული განათლების კუთხით უფრო მეტი ინფორმაციის (მაგ. დაწესებულების პერსონალი, პროფესიული განათლების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, პარტნიორი ორგანიზაციები, პროფესიული სტუდენტების აქტივობები, მათი მხარდაჭერის ღონისძიებები და სხვ.) განთავსება. (2.8).

რეკომენდაცია შესრულებულია: უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთვსებულია ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; საიტზე განთავსებულია მარეგულირებელი წესები/დებულებები, სტრატეგიურლი და სამოქმედო გეგმები, მათი შესრულების ანგარიშები; სიახლეები; გალერეა; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა.

3. რეკომენდაცია: სასურველია პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებ გვერდზე.

რეკომენდაცია შესრულებულია: საიტზე განთავსებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები (http://tbeli.ge/ge/profesiuli/angarishebi).

4. რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მასწავლებელთა სახლის მიერ შემუშავებული ტრენინგ მოდულებით გადასამზადებლად მიმართოს მასწავლებელთა სახლს. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების პროცესებში იქნებიან ჩართულები, ითანამშრომლონ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან (პროფესიული მიმართულებით). (3.2.)

რეკომენდაცია შესრულებულია: უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებლები მუდმივად ესწრებიან ხარისხის უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. გარკვეული მასწავლებლები ერთვებიან განათლების ხარისხის განვითრების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, ან ხარისხის სამსახური აცნობს შემდეგ მათ ახალ მიდგომებს, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტუდენტებს ძალიან კარგი უკუკავშირი აქვთ და ისინი დადებითად აფასებენ სასწავლო პროცესს. დაწესებულების წარმომადგენლები ჩართული არიან პროცესში, იცნობენ მარეგულირებელ წესებს, შეთანხმებულად მუშაობენ და ხშირად იკრიბებიან გამოცდილების გასაზიარებლად. მათი მხრიდან მაღალია ჩართულობა. ძალიან კარგად იყო გაწერილი საქმის წარმოების ნაწილი.

ექსპერტმა შემდგომ ისაუბრა სტანდარტების შეფასების საკითხზე. II სტანდარტი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან 2.1 და 2.2 კომპონენტებში დაფიქსირდა **ხარვეზები**:

2.1.1.2. ინდიკატორი უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურები არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება No42/ნ დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“-თან.

2.1.1.8 ინდიკატორი მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებაში განხორციელდა ცვლილება ბრძანება N58/ნ 20/05/2020 და "აღმზრდელის" ჩარჩო დოკუმენტში მისანიჭებელ კვალიფიკაციად განისაზღვრა - "უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში". ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 7 თებერვლის #541866 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი

საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ კვალიფიკაციად განისაზღვრა „უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებები არ არის განხორციელებული და კვალიფიკაციად განსაზღვრულია „მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში”. უნდა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამა აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან.

2.2.1.7. ინდიკატორი დაწესებულებას არც ვიზიტის დროს, არც ვიზიტამდე გამოგზავნილ დოკუმენტებში არ მოუწოდებია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ ბიუჯეტი. ვერ დადგინდა არის თუ არა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.

3.1.1.1 ინდიკატორი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რიგი პროფესიული სტუდენტების უფლებებთან და გარანტიებთან დაკავშირებული შიდა რეგულაციები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 2-ის მე-4 პუნქტის ჩანაწერების თანახმად: „თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის შეცვლის დროისთვის დარჩენილი კრედიტების მოცულობა აღემატება 30 კრედიტს, დაწესებულება ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი/მოდული, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანოს პროფესიული სტუდენტი მოდიფიცირებულ/შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ინდივიდუალური გეგმით გააგრძელებინოს სწავლა“, აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება პროფესიული განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც ,, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით”.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 6-ის პირველი პუნქტის ჩანაწერების თანახმად: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრლი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ერთ ერთი საფუძველია: კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში საჭირო კრედიტების აუთვისებლობა, გაუგებარია როგორ განახორციელებს დაწესებულება სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის შეჩერების საფუძველის აღმოფხვრას თუ მის აღდგენას არ განახორციელებს და არ შეუმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

4.1.1.1 ინდიკატორი დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული;

თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით დადგენილი შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობა- შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა.

4.1.1.2 ინდიკატორი სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ვერ უზრუნველყოფს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულებაში არ არის დამტკიცებული საშტატო განრიგი. საშტატო განრიგის შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციები. ზოგიერთ შემთხვევაში არ დგინდება სტრუქტურით გათვალისწინებული სამსახურები/ განყოფილებები თავის თავში რა საშტატო ერთეულებს მოიცავს. სამუშაო აღწერილობებიც უმეტესად სამსახურის/განყოფილების ფუნქციებს უფრო ასახავს, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე თანამდებობრივი პოზიციისას. მაგალითად: რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების დებულებაში“ არ არის დაკონკრეტებული თუ რამდენ თანამდებობრივ ერთეულს მოიცავს და ვინ მართავს განყოფილებას, როგორ არის განაწილებული ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

4.1.1.3 ინდიკატორი დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. მაგალითად: სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (მუხლი 1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია) ვკითხულობთ: „კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს განმახორციელებელი პირი, რომელსაც განიხილავს და ვალიდურობის შემთხვევაში ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.“

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასევე აღნიშნულია, რომ „თუ პროფესიული სტუდენტი ვერ გამოცხადდა შედეგის დადასტურებაზე, მას უფლება აქვს მიმართოს ,,უნივერსიტეტი“-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება.

აღნიშნული ჩანაწერი კონფლიქტში მოდის ვერიფიკაციის მექანიზმთან. შეფასების პროცესის ვერიფიკაციისას ხარისხის სამსახური მონიტორინგს უკეთებს შეფასების სრულ პროცესს. შესაბამისად, შედეგების დადასტურების პროცესში ხარისხის ჩართულობა ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. დაუშვებელია შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და ვერიფიკაცია მოახდინოს ერთი და იმავე სტრუქტურამ/ პირმა.

ინტერესთა კონფლიქტი იკვეთება სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში აღწერილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა ფუნქციაშიც. მაგალითად: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას - სასწავლო/გამოცდის ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების დაცვით.

4.1.2.1 ინდიკატორი დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ არის შესაბამისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან. მაგალითად: არ არის განსაზღვრული შესვენების დრო. თანამშრომელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში კი (რომელიც ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლისათვის სტანდარტულია) შესვენება განისაზღვრება 15:00 სთ-დან 15:30 სთ-მდე. ანუ ნახევარი საათით. შინაგანაწესის თანახმად უნივერსიტეტში სამუშაო დღე იწყება 10:00 საათზე და სრულდება 17:00 საათზე. კანონმდებლობის თანახმად თუ სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო დროის ხანგრძლივობა არანაკლებ 6 საათია, შესვენების დროის ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.

უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად დასვენების დღეებია: საუფლო სადღესასწაულო დღეები, ასევე კვირა დღე. დასვენების დღეებად არ მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი უქმე დღეები.

თანამშრომლებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების რიგი არსებითი პირობები. მაგალითად: შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა; შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი;

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულებების მიცემის წესი;

5.1.1.1 ინდიკატორი დაწესებულების საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. დაწესებულება თხოვების ხელშეკრულებით ფლობს ქონებას მდებარე შუახევში სოფელი ტაკიძეები, ხიჭაური(საკადასტრო კოდი 24.07.03.385). ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 24 ივლისს 10 წლის ვადით. დაწესებულებას ავტორიზაცია მინიჭებული აქვს 2019 წლის 23 აგვისტოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს #29 გადაწყვეტილებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება კი 2020 წლის 07 თებერვალს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მეათე გადაწყვეტილებით. შესაბამისად, შენობის ფლობა დასტურდება მხოლოდ 2022 წლამდე, რაც ავტორიზაციის ვადაზე ნაკლებია.

5.1.1.2. ინდიკატორი დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისთვის. პირველ და მეორე სართულებზე ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია ხის ასაკეცი პანდუსი, თუმცა, აღნიშნული პანდუსი ვერ ფარავს სრულად კიბის მონაკვეთს(რამდენიმე საფეხურით მოკლეა) , ხოლო მესამე სართულზე ასასვლელ კიბეზე საერთოდ არ არის პანდუსი.

5.1.1.4. ინდიკატორი შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით.

5.1.1.5. ინდიკატორი დაწესებულებაში არ მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, დაწესებულებას არ წარმოუდგენია შრომის უსაფრთხოების დებულება. დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელის კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში გატარებული პრევენციული ღონიძიებების, დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარების მტკიცებულებები.

5.1.1.8. ინდიკატორი დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილ შენობაში არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. ამასთან, კიბეების არასრულად ადაპტირების გამო შეუძლებელია სველ წერტილთან მისვლა.

5.1.2.1. ინდიკატორი შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2019 წლის 5 თებერვალს შეამოწმა სასწავლო უნივერსიტეტი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და შეადგინა შესაბამისი შეფასების აქტი, რომლის თანახმად საევაკუაციო გასასვლელის რაოდენობა და მდგომარეობა არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს; არ არის წესრიგში შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება და ონკანები; არ არის დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლის და ევაკუაციის მართვის სისტემა; საევაკუაციო გეგმები არ არის სტანდარტის შესაბამისი, არ არის სათანადო რაოდენობის ცეცხლმაქრები; უნივერსიტეტის ელექტრომეოურნეობის მდგომარეობა არ შეესაბამება მოთხოვნებს.

5.1.2.3. ინდიკატორი დაწესებულებას არა აქვს შემუშვებული და კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, კანონმდებლობასთან შესაბამისი საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა. დაწესებულებას არა აქვს განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, მათი ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები, არა აქვს ჩატარებული ხანძრსაწინააღმდეგო და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქტაჟები.

5.2.1.3. ინდიკატორი დაწესებულება არ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დაწესებულებამ არ წარმოადგინა არანაირი მტკიცებულება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. არც რეგულაციაში არ არის გაწერილი პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებაში(პერსონალის და სტუდენდების)რაიმე მექანიზმი.

5.2.2.2. ინდიკატორი სასწავლო უნივერსიტეტი არ იყენებს ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემას.
5.2.2.4. ინდიკატორი დაწესებულება დროულად არ აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. მაგალითად: დაწესებულებამ დადგენილ ვადაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არ წარუდგინა თვითშეფასების ანგარიში.
5.2.3.4. ინდიკატორი დაწესებულებამ არ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.
5.2.3.5. ინდიკატორი დაწესებულებას არ წარმოუდგენია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი. შესაბამისად, ვერ დადგინდა ხდება თუ არა კატალოგის განახლება ყოველწიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსსპერტთა ვიზიტის შემდგომ დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა პროგრამების კატალოგი. აღნიშნულის დასადასტურებლად ექსპერტმა საბჭოს წევრებს წარუდგინა დაწესებულების ვებგვერდზე არსებული კატალოგის სქრინშოთი.
5.3.1.1. ინდიკატორი დაწესებულებამ არ წარმოადგინა ბიუჯეტი. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.
5.3.1.2. ინდიკატორი საოპერაციო ხარჯები არ არის უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსით.
5.3.1.3. ინდიკატორი დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების დოკუმენტი ან ფინანსური ანგარიში/ანალიზი. შესაბამისადავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცაექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდაშეუსაბამოდ.
5.3.1.4. ინდიკატორი დაწესებულებამ არ წარმოადგინა ფინანსური მდგრადობის შეფასების კვლევის მასალები, ან შეფასების შედეგებზე რეაგირების რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად ავტორიზაციის დებულების 54-ე მუხლის 24 პუნქტის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ არ მისცა ექსპერტთა ჯგუფს სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ.
შორენა ჯაფარიძის კითხვის საპასუხოდ დაზუსტდა, რომ პროფესიული და უმაღლესი სასაწავლო სივრცეები ერთმანეთს არ კვეთენ.
გაუმჯობესების გეგმა დაწესებულების მიერ გაიგზავნა ექსპერტთა მიერ განხორციელებული მონიტორინგის შემდგომ, იგი შეისწავლა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა. შესაბამისად, ცენტრის მიერ აღმოჩენილი მიგნებები საბჭოს გააცნო ნინო სტეფანიშვილმა, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ 10 დეკემბერს ცენტრში წარადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ასახულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები, არის გეგმის შესრულებაზე უზრუნველყოფის აქტები, დაწყებისა და დასრულების თარიღები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები, რისკები, დაფინანსება და სხვ. აქტივობებზე გაწერილი ვადები განსხვავებულია, ყველაზე დიდი ვადა არის 18 თვე, რომელიც უკავშირდება შენობა-ნაგებობების ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფასა და უსაფრთხოების საკითხებს. მაქსიმალური ვადა გაწერილია 2023 წლის მაისი, აღნიშნული უკავშირდება მე-5 კომპონენტს. შესაბამისობის გეგმაში აღწერილია ყველა ის თემა, რომელთა შესწავლის საშუალებაც ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა, შესაბამისად, მათი გათვალისწინება ვერ მოხერხდა ექსპერტთა დასკვნაში.

საბჭოს წევრმა ნატალია კვაჭანტირაძემ დატოვა საბჭო 16:18 საათზე;

საბჭოს შემოურთდა ქრისტინა რზგოევა 16:22 საათზე;
საბჭოს წევრმა დეა აბულაძემ დატოვა საბჭო 16:39 საათზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხზე საბჭოს წევრებისა და დაწესებულების წარმომადგენელთა თანხმობით არ ჩატარდა კენჭისყრა შეზღუდული დროისა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმის არ არსებობის გამო. გარდა ამისა, საბჭოს წევრებს ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც სიღრმისეული მსჯელობისა და ანალიზის შესაძლებლობას არ იძლეოდა შექმნილი გარემოებები.
საბჭოს გაადაწყვეტილებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა პირველ საკითხად შევა 24 დეკემბერს დაგეგმილი ავტორიზაციის საბჭოს დღის წესრიგში. საკითხის განხილვისას დაწესებულებას ექნება საშუალება წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია და პასუხები გასცეს საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით მდივნად განისაზღვრა ქრისტინა რზგოევა.

17:25 საათზე საბჭომ დაასრულა მუშაობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების დონე / საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	20	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ. №4, ქ. №4, მე-6 სართული
2	საექთნო საქმე (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	105	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ. №4, ქ. №4, მე-6 სართული
3	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	120	150	ქართული	80	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) ქ. №4, მე-6 სართული

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).